

იმიტირებული პროცესი ადამიანის უფლებების სამართალში

პროექტის წესები



სარჩევი

1. ძირითადი ნაწილი	3
1.1. შესავალი.....	3
1.2. პასუხისმგებელი ორგანო.....	3
1.3. შეჯიბრის სტრუქტურა.....	3
2. დოკუმენტები	3
2.1. საქმე	3
2.2. განმარტებითი კითხვები	4
2.3. ვადები.....	4
3. გუნდები.....	4
3.1. გუნდის დასაშვებობა	4
3.2. გუნდის შემადგენლობა.....	4
3.3. გამონაკლისი შემთხვევა.....	4
3.4. რეგისტრაცია	5
4. წერიტი რაუნდი.....	5
4.1. გაგზავნა.....	5
4.2. შინაარსი	5
4.3. ფორმატი.....	5
4.4. დაჯარიმება	6
5. ზეპირი რაუნდი	6
5.1. კვალიფიკაცია ლოკალურ ზეპირ რაუნდში.....	6
5.2. სტრუქტურა.....	6
5.3. კვალიფიკაცია ეროვნულ ზეპირ რაუნდში	6
5.4. ფინალური ეროვნული ზეპირი რაუნდი.....	6
6. ზეპირი გამოსვლები.....	7
6.1. თანმიმდევრობა და ფარგლები.....	7
6.2. ძირითადი ზეპირი გამოსვლები	7
6.3. კონტარგუმენტები.....	8
6.4. დროის კონტროლი	8

6.5.	მოსამართლე.....	8
6.6.	ზეპირი რაუნდის შეფასება.....	9
6.7.	უკუკავშირი	9
6.8.	მოწყობილობები	9
6.9.	ჯარიმები	9
7.	ქულები და ჯარიმები	9
7.1.	შეფასება.....	9
8.	ჯარიმები	10
9.	პრიზები და კატეგორიები.....	11
10.	ქცევის წესები	11
10.1.	ანომიმურობა	11
10.2.	კომუნიკაცია.....	12
10.3.	პლაგიატი.....	12
10.4.	მოსამართლე	12

1. ძირითადი ნაწილი

1.1. შესავალი

ეს წესები მართავს ბავშვთა უფლებების სფეროში იმიტირებული სასამართლო პროცესის შეჯიბრს. ELSA საქართველოს ვიცე-პრეზიდენტს იმიტირებული სასამართლო პროცესების სფეროში აქვს წინამდებარე წესების განმარტების/ინტერპრეტაციის უფლებამოსილება.

1.2. პასუხისმგებელი ორგანო

ELSA საქართველო პასუხისმგებელია შეჯიბრის ორგანიზებაზე. ELSA საქართველოს ვიცე-პრეზიდენტი იმიტირებული სასამართლო პროცესების მიმართულებით ხელმძღვანელობს პროექტს.

1.3. შეჯიბრის სტრუქტურა

- 1.3.1. კონკურსი მოიცავს სამ ეტაპს: წერილობითი რაუნდი, ზეპირი ლოკალური რაუნდი და ფინალური ზეპირი რაუნდი.
- 1.3.2. გუნდები ვალდებული არიან წარმოადგინონ ორი წერილობითი პოზიცია: ერთი განმცხადებლისა და ერთი მოპასუხის სახელით.
- 1.3.3. გუნდები ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ დანიშნულ ზეპირ რაუნდში. ისინი წარმოადგენენ პოზიციას ერთხელ განმცხადებლის და ერთხელ მოპასუხის სახელით.
- 1.3.4. კონკურსის ენა არის ქართული.

2. დოკუმენტები

2.1. საქმე

- 2.1.1. შეჯიბრი ემყარება გამოგონილ შემთხვევას, რომელიც ავტორების მიერ არის მოამზადებული. საქმე ეხება ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევას, რომელიც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებით და ეროვნული კანონმდებლობით.
- 2.1.2. ELSA საქართველო პასუხისმგებელია საქმის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებაზე.



2.2. განმარტებითი კითხვები

- 2.2.1. თითოეულ გუნდს შეუძლია წარმოადგინოს სამი განმარტებითი კითხვა, წინასწარ დადგენილი ვადის გასვლამდე.
- 2.2.2. საქმის ავტორებს უფლება აქვთ უარი თქვან განმარტების კითხვებზე პასუხის გაცემაზე, თუ ისინი არარეალურად ან შეუსაბამოდ მიიჩნევა.
- 2.2.3. ELSA საქართველო პასუხიმგებელია განმარტებითი კითხვების პასუხების მონაწილეებისათვის გაგზავნაზე.

2.3. ვადები

შეჯიბრის ვადებს განსაზღვრავს ELSA საქართველო.

3. გუნდები

3.1. გუნდის დასაშვებობა

- 3.1.1. შეჯიბრში მონაწილეობის უფლება აქვთ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს, როგორც ბაკალავრის, ისე მაგისტრის ხარისხის.
- 3.1.2. ერთი უნივერსიტეტიდან რეგისტრაცია შეიძლება გაიაროს ერთზე მეტმა გუნდმა, თუმცა ერთ გუნდში ვერ იქნებიან სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები.

3.2. გუნდის შემადგენლობა

- 3.2.1. შეჯიბრში მონაწილე გუნდი უნდა შედგებოდეს მინიმუმ ორი და მაქსიმუმ სამი წევრისგან.
- 3.2.2. თითოეულ გუნდს უნდა ჰყავდეს გუნდის კაპიტანი, რომელიც უნდა იყოს გუნდის ერთ-ერთი წევრი და ELSA საქართველოს საორგანიზაციო გუნდთან ზოგადი ხასიათის კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი პირი.
- 3.2.3. გუნდის შემადგენლობა არ უნდა შეიცვალოს რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ.

3.3. გამონაკლისი შემთხვევა

იქ, სადაც განსაკუთრებული გარემოებები არსებობს, მე-3 წესის ნებისმიერი მოთხოვნისგან განთავისუფლება დაიშვება მხოლოდ ვიცე-პრეზიდენტის მიერ იმიტირებული სასამართლო პროცესების მიმართულებით, დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც წარმოდგენილია გუნდების მიერ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.



3.4. რეგისტრაცია

შეჯიბრში რეგისტრაციის მსურველმა გუნდებმა უნდა შეასრულონ გამოქვეყნებული სარეგისტრაციო პროცედურა რეგისტრაციის ბოლო ვადამდე.

4. წერიტი რაუნდი

4.1. გაგზავნა

4.1.1. გუნდებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი წერილობითი პოზიციები შესაბამისი ფორმით, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დაწესებული ვადის ბოლო დღის არაუგვიანეს 23:59-ზე თბილისის დროით.

4.1.2. წერილობითი დოკუმენტები მიღებულად არ ჩაითვლება თუკი წარმოდგენილი იქნება სხვა გზით, გარდა მიწოდებული ფორმისა.

4.1.3. დაგვიანებული დოკუმენტები განიხილება სასჯელის სისტემის შესაბამისად.

4.2. შინაარსი

წერილობითი პოზიციები უნდა შეიცავდეს:

- i. თავფურცელი მოწოდებული ფორმის შესაბამისად;
- ii. პოზიციების ერთგვერდიანი შეჯამება;
- iii. სარჩევი;
- iv. გამოყენებული წყაროების ჩამონათვალი;
- v. აბრევიატურები;

4.3. ფორმატი

წერილობითი პოზიციები უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ ფორმატსა და ინსტრუქციებს:

- i. გვერდის ზომა A4;
- ii. შრიფტის სტილი: Sylfaen;
- iii. შრიფტის ზომა: 12;
- iv. მინდვრები: 2.54 სანტიმეტრი;
- v. სტრიქონებს შორის დაშორება: 1.5;
- vi. გვერდების მაქსიმალური რაოდენობა: ოცი, გარდა 4.2. წესით გათვალისწინებული შინაარსისა;
- vii. სქოლიოების შრიფტის სტილი და ზომა: Times New Roman და 10;
- viii. ტექსტის ფერი: #000000

წერილობითი პოზიციების თითოეული წყება შეინახება და იგზავნება, როგორც გამოყოფილი და განცალკევებული Word-ის დოკუმენტი;

წერილობითი პოზიციების თითოეული წყება უნდა იყოს დასათაურებული: „წერილობითი პოზიციები [მხარე] - [გუნდის ნომერი]“.

4.4. დაჯარიმება

წერილობით რაუნდთან დაკავშირებული ნებისმიერი წესის დარღვევა გამოიწვევს ELSA საქართველოს გუნდის მიერ საჯარიმო ქულების გაცემას.

5. ზეპირი რაუნდი

5.1. კვალიფიკაცია ლოკალურ ზეპირ რაუნდში

გუნდები, რომლებიც იასპარეზებენ ზეპირ რაუნდში, შეირჩევიან წერილობით ეტაპზე. წერილობითი პოზიციების შედეგების საფუძველზე შეირჩევა 6 საუკეთესო გუნდი.

5.2. სტრუქტურა

5.2.1. ზეპირ რაუნდებში თითოეული გუნდი იასპარეზებს ორჯერ, ერთხელ განმცხადებლის სახელით და ერთხელ მოპასუხის სახელით.

5.2.2. წერილობითი პოზიციების ქულები მხედველობაში მიიღება ზეპირი რაუნდების ქულების გაანგარიშებისას და შეადგენს საკვალიფიკაციო ქულის 30%-ს.

5.3. კვალიფიკაცია ეროვნულ ზეპირ რაუნდში

გუნდები, რომლებიც იასპარეზებენ ეროვნულ ზეპირ რაუნდში, შეირჩევიან შემდეგნაირად:

ა. 6 საუკეთესო გუნდიდან შეირჩევა 2 გუნდი საკვალიფიკაციო ქულების საფუძველზე.

ბ. უმაღლესი საკვალიფიკაციო ქულების მქონე გუნდები იასპარეზებენ ეროვნულ ზეპირ ეტაპზე.

5.4. ფინალური ეროვნული ზეპირი რაუნდი

გუნდები შეფასდებიან მხოლოდ ფინალურ რაუნდში დაგროვილი ქულების შესაბამისად. საკვალიფიკაციო ქულები მხედველობაში არ მიიღება.

თუ გუნდებს შორის არის ფრე, გამარჯვებულია უმაღლესი საკვალიფიკაციო ქულის მქონე გუნდი.



6. ზეპირი გამოსვლები

6.1. თანმიმდევრობა და ფარგლები

ზეპირი გამოსვლების თანმიმდევრობაა:

- ა. მოსარჩელე: ძირითადი ზეპირი გამოსვლები
- ბ. მოპასუხე: ძირითადი ზეპირი გამოსვლები
- გ. მოსარჩელე: კონტრარგუმენტი
- დ. მოპასუხე: საპასუხო კონტრარგუმენტი

გუნდის ზეპირი გამოსვლის ფარგლები არ არის დამოკიდებული მისი წერილობითი პოზიციების ფარგლებზე.

6.2. ძირითადი ზეპირი გამოსვლები

- 6.2.1. თითოეულ გუნდს უნდა ჰქონდეს ჯამში ოცდათხუთმეტი (35) წუთი ძირითადი ზეპირი გამოსვლების წარმოსადგენად, მათ შორის მოსამართლის მიერ დასმულ კითხვებზე საპასუხოდ საჭირო დროის ჩათვლით.
- 6.2.2. ძირითადი ზეპირი გამოსვლები გუნდის სულ მცირე ორმა წევრმა უნდა წარმოადგინოს.
- 6.2.3. გუნდს შეუძლია დამატებითი დროის მოთხოვნა ძირითადი ზეპირი გამოსვლების დასრულებისთვის ან მოსამართლის კითხვებზე პასუხისთვის. მოთხოვნის დაკმაყოფილების და გუნდისთვის დამატებითი ხუთი (5) წუთის მიცემის დისკრეცია გააჩნია სასამართლო კოლეჯის თავმჯდომარეს.
- 6.2.4. თუ მოსარჩელე გუნდს მოთხოვნის შესაბამისად მიეცემა დამატებითი დრო მისი ძირითადი ზეპირი გამოსვლების ფარგლებში, ეს დრო ავტომატურად დაემატება მოპასუხე გუნდის ძირითადი ზეპირი გამოსვლებისთვის განკუთვნილ დროსაც.
- 6.2.5. თუ მოპასუხე გუნდს მოთხოვნის შესაბამისად მიეცემა დამატებითი დრო მისი ძირითადი ზეპირი გამოსვლების ფარგლებში, ეს დრო ავტომატურად დაემატება მოსარჩელე გუნდის კონტრარგუმენტისთვის განკუთვნილ დროს.
- 6.2.6. დამატებითი დროის მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ ძირითადი ზეპირი გამოსვლების დროს. განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ დაყენებული მოთხოვნები არ იქნება გათვალისწინებული.

6.3. კონტრარგუმენტები

- 6.3.1. თითოეულ გუნდს უნდა მიეცეს ჯამში ხუთი (5) წუთი კონტრარგუმენტების წარმოსადგენად, მათ შორის მოსამართლის მიერ დასმულ კითხვებზე საპასუხოდ საჭირო დროის ჩათვლით.
- 6.3.2. გუნდს კონტრარგუმენტების დროს არ აქვს დროის დამატების მოთხოვნის უფლება.
- 6.3.3. კონტრარგუმენტების წარმოდგენა შეუძლია გუნდიდან მხოლოდ ერთ წევრს. კონტრარგუმენტების დროს, გუნდის ნებისმიერ წევრს უფლება აქვს მოსაუბრე წევრის მოწვევის საფუძველზე პასუხი გასცეს მოსამართლეთა შეკითხვებს.
- 6.3.4. ძირითადი ზეპირი მოსმენისთვის განსაზღვრული წუთების გამოუყენებლობის შემთხვევაში, მათი დამატება კონტრარგუმენტებისთვის გამოყოფილ დროზე არ მოხდება.
- 6.3.5. მოსარჩელის კონტრარგუმენტირების ფარგლები შემოსაზღვრულია მოპასუხის ძირითად ზეპირ გამოსვლაში წამოჭრილი საკითხებით და მოპასუხის კონტრარგუმენტირების ფარგლები შემოსაზღვრულია მოსარჩელის კონტრარგუმენტში წამოჭრილი საკითხებით.

6.4. დროის კონტროლი

- 6.4.1. დროის კონტროლზე პასუხისმგებელი პირები მოსამართლეებისა და გუნდებისთვის გასულ დროს მიუთითებენ ხუთი (5) წუთის ინტერვალით და როდესაც დარჩენილია სამი (3), ორი (2) და ერთი (1) წუთი. მათ მიერ გამოცხადდება გამოყოფილი დროის ამოწურვაც.
- 6.4.2. ყოველ განხილვაზე სულ მცირე ორი დროის კონტროლზე პასუხისმგებელი პირი უნდა იყოს წარმოდგენილი.

6.5. მოსამართლე

- 6.5.1. მოსამართლეები უნდა იყვნენ ELSA საქართველოს გუნდის მიერ აკადემიურ საბჭოსთან კონსულტაციის შედეგად შერჩეული ადამიანის უფლებათა სფეროს ექსპერტები.
- 6.5.2. მოსამართლეები გამწესდებიან კოლეგიებში. თითოეულ კოლეგიას ეყოლება თავმჯდომარე.
- 6.5.3. მოსამართლეები უფლებამოსილნი არიან ზეპირი გამოსვლის დროს გუნდებს მიმართონ კითხვით ან კომენტარით.
- 6.5.4. მოსამართლეებმა კოლეგიის მემორანდუმის შინაარსი გუნდებისა და მწვრთნელებისგან მკაცრად კონფიდენციალურად უნდა დაიცვან.



6.6. ზეპირი რაუნდის შეფასება

ზეპირი მოსმენის დროს თითოეული გუნდი შეფასდება სამი მოსამართლისგან შემდგარი კოლეგიის მიერ, შეფასების მითითებებისა და კოლეგიის მემორანდუმის შესაბამისად.

ფინალში თითოეული გუნდი შეფასდება სამიდან ხუთ მოსამართლემდე შემდგარი კოლეგიის მიერ, შეფასების მითითებებისა და კოლეგიის მემორანდუმის შესაბამისად.

6.7. უკუკავშირი

მოსამართლეებმა შესაძლოა პირდაპირი უკუკავშირი გაუწიონ გუნდებს განხილვის დასრულების შემდეგ. ასეთი უკუკავშირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ა. ის არ უნდა ეხებოდეს საქმის არსებით ასპექტებს;
- ბ. ის არ უნდა ავლენდეს ინდივიდუალურ ქულებს;
- გ. ის არ უნდა ავლენდეს რაუნდის შედეგებს;

6.8. მოწყობილობები

გუნდებს არ შეუძლიათ ელექტრონული მოწყობილობების გამოყენება საკომუნიკაციო მიზნებისთვის. ელექტრონული მოწყობილობები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ დროის აღრიცხვის მიზნით.

ყველა ელექტრონული მოწყობილობა გადაყვანილი უნდა იქნეს ჩუმ რეჟიმზე.

6.9. ჯარიმები

მე-6 წესის რომელიმე ნაწილის დაუმორჩილებლობა არ გამოიწვევს გუნდის დისკვალიფიკაციას, თუმცა ეს ფაქტი მხედველობაში იქნება მიღებული ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის შეფასებისას და ქულების მინიჭებისას.

7. ქულები და ჯარიმები

7.1. შეფასება

7.1.1. წერილობითი პოზიციები შეფასდება: i) სამართლებრივი საკითხების და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის იდენტიფიკაციის, ii) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მარეგულირებელი ინსტრუმენტების ისევე, როგორც შესაბამისი პრეცედენტული სამართლის

- ცოდნის; iii) სამართლებრივი ანალიზის ხარისხსა და არგუმენტების დამაჯერებლობის მიხედვით.
- 7.1.2. წერილობითი პოზიციის ქულა მოიცავს მოსარჩელის წერილობითი პოზიციების ქულათა საშუალო ჯამს, მათ შორის საჯარიმო ქულებს და მოპასუხის წერილობითი პოზიციის ქულათა საშუალო ჯამს, მათ შორის საჯარიმო ქულებს.
- 7.1.3. წერილობითი პოზიციები შეფასდება: i) სამართლებრივი საკითხების და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის იდენტიფიკაციის, ii) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მარეგულირებელი ინსტრუმენტების ისევე, როგორც შესაბამისი პრეცედენტული სამართლის ცოდნის; iii) სამართლებრივი ანალიზის ხარისხსა და არგუმენტების დამაჯერებლობის მიხედვით.
- 7.1.4. საკვალიფიკაციო ქულა მოიცავს წერილობითი პოზიციების საშუალო ქულას და რეგიონალური რაუნდის საშუალო ქულას პროპორციით 3:7.

8. ჯარიმები

ჯარიმები უნდა დაწესდეს შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

მოქმედება	ჯარიმა
გუნდის მწვრთნელის აქტიური მონაწილეობა ზეპირ მოსმენაში, მათ შორის მის მოსამზადებელ სტადიაზე.	დისკვალიფიკაცია
რეგისტრაციის შემდეგ წევრთა შემადგენლობის შეცვლა იმიტირებული სასამართლო პროცესების მიმართულებით ვიცრე-პრეზიდენტის წინასწარი ნებართვის გარეშე	დისკვალიფიკაცია
რეგისტრაციის შემდეგ მწვრთნელის შეცვლა იმიტირებული სასამართლო პროცესების მიმართულებით ვიცრე-პრეზიდენტის წინასწარი ნებართვის გარეშე	დისკვალიფიკაცია
მოსამართლისაგან მხარდაჭერის ან რჩევის მიღება	დისკვალიფიკაცია
დოკუმენტების გაგზავნისთვის განსაზღვრული ვადის ერთი დღით გადაცილება	0.5 ქულა თითოეულ წერილობით პოზიციაზე.

დოკუმენტების გაგზავნისთვის განსაზღვრული ვადის ორი დღით გადაცილება	1 ქულა თითოეულ წერილობით პოზიციაზე.
დოკუმენტების გაგზავნისთვის განსაზღვრული ვადის სამი დღით გადაცილება	2 ქულა თითოეულ წერილობით პოზიციაზე.
დოკუმენტების გაგზავნისთვის განსაზღვრული ვადის ოთხი დღით გადაცილება	დისკვალიფიკაცია
პლაგიატიზმი	პლაგიატის სიმძიმისა და მოცულობიდან გამომდინარე 1-10 ქულა თითოეულ წერილობით პოზიციაზე ან დისკვალიფიკაცია.
ერთ გვერდიანი მოკლე შინაარსის დაურთველობა	1 ქულა თითოეულ წერილობით პოზიციაზე.

9. პრიზები და კატეგორიები

- ა) გამარჯვებული გუნდი
- ბ) მეორე ადგილი
- გ) საუკეთესო აპლიკანტი
- დ) საუკეთესო რესპოდენტი
- ე) ლოკალური რაუნდების საუკეთესო ორატორი
- ვ) ეროვნული რაუნდების საუკეთესო ორატორი

10. ქცევის წესები

10.1. ანონიმურობა

აკრძალულია ნებისმიერი სახის ინფორმაციის მითითება/ გუნდის წარმოშობის, მათი წარმომადგენლობის ქვეშ მყოფი ინსტიტუტის ან სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა გუნდის ინდენტიფიცირების საშუალებას მოსამართლეებისთვის როგორც შესარჩევ, ასევე დასკვნით რაუნდებში.

გუნდებს შეუძლიათ განაცხადონ მათი მონაწილეობის შესახებ როგორც ნაბეჭდ, ასევე სოციალურ მედიაში. მათი გუნდის ნომრის გამჟღავნება დაუშვებელია.



წესი ვრცელდება გუნდზე, რომელიც შეჯიბრებაშია. აღნიშნული დანაწესი არ ვრცელდება გუნდზე, რომელიც შეჯიბრების გამოეთიშა

10.2. კომუნიკაცია

აკრძალულია ნებისმიერი სახის კომუნიკაცია მოსამართლესთან როგორც გუნდის ასევე მისი ლიდერის მხრიდან ფინალური, ზეპირი რაუნდის დასრულებამდე.

10.3. პლაგიატი

პლაგიატი დაუშვებელია. პლაგიატი გულისხმობს პირვანდელი ნაწარმოების ან იდეების არაკეთილსინდისიერ პრეზენტაციას, განურჩევლად იმისა განზრახვითაა ჩადენილი თუ არა. პლაგიატი ჩადენილად ითვლება თუ გუნდი იყენებს სხვის ნამუშევრებს მათზე მითითების გარეშე, როგორცაა ბრჭყალების გამოყენება ან წყაროებზე მითითება.

10.4. მოსამართლე

მოსამართლეებს ეკრძალებათ დახმარება გაუწიონ გუნდს ან გუნდის მწვრთნელებს როგორც შესარჩევ, ასევე ფინალურ რაუნდებში.